PX 4605/1. 3ლ
n 77/6
ეროვნული ბიბლიოთეკა

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ პროექტის – „იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელ თემთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერა აქტიურ დიალოგში და გადაწყვეტილებების მიღებაში მათი ჩართვის გზით" განმახორციელებელი პარტნიორები. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ევროკავშირის პოზიციას.

თბილისი, 0105 ორბელიანის ქ. 35
Tel: (+995 32) 92 28 39; 99 04 43; 93 64 75;
Fax: (+995 32) 92 24 61
E-mail: office@economists.ge
www.economists.ge
საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

# ერთად ჩვენ შევძლებთ

2010

პროექტის პარტნიორები:

Oxfam
ASSOCIATION OF YOUNG ECONOMISTS OF GEORGIA
Welfare Foundation

The project is funded by the EU
პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია ოქსფამი

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

**სოციალური დახმარების პროგრამა** ადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ღატაკი ოჯახებისა და უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის სოციალური დახმარების ოდენობას, ღონისძიებათა დაფინანსებისა და ანგარიშსწორების წესს და ძირითად პრინციპებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარების ადმინისტრირების კომპეტენტურ ორგანოსა და პროგრამის ფარგლებში სოციალური დახმარების გაცემის ძირითად პრინციპებს, ასევე რეინტეგრაციის შემწეობისა და შვილობილად აყვანის (მინდობით აღზრდის) ანაზღაურების ოდენობას.

**სოციალური დახმარება** არის ფულადი სახის გასაცემელი (შემდგომში - საარსებო შემწეობა), რომლის მიზანია შეფასების სისტემით გამოვლენილი ღატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირება ან/და მისი პრევენცია.

**საარსებო შემწეობის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოა** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური სუბსიდიების სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს საარსებო შემწეობის მაძიებელი ოჯახებისათვის საარსებო შემწეობის დანიშვნას, გაცემას, შეწყვეტას, გაანგარიშებას, შეჩერებას, აღდგენასა და საარსებო შემწეობის მიღებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტას.

საოჯახო დახმარების ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოა სააგენტო, აფხაზეთიდან დევნილი ოჯახებისათვის - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 2009 წლის 15 აგვისტომდე, ხოლო, 2009 წლის 15 აგვისტოდან - სააგენტო, რომლებიც ამ წესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფენ საოჯახო დახმარების შეწყვეტას, გადაანგარიშებას, შეჩერებას, აღდგენასა და საოჯახო დახმარების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხთა გადაწყვეტას

**საარსებო შემწეობის მიღების უფლება** აქვს ოჯახს, რომელიც დადგენილი წესით რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარსებო შემწეობის ზღვრული ქულა 2009 წლის 1 ოქტომბრი-დან ორი წლის ვადით ვრცელდება იმ ოჯახებზე, რომლებიც არ იღებენ საარსებო შემწეობას, 2008 წლის 6 აგვისტოდან საქართველოზე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული თავდასხმის შედეგად იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყვნენ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, დადგენილი წესით აღრიცხული არიან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში და განსახლებული არიან სახელმწიფოს მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან ახლად აშენებულ საცხოვრებელ ფართობებში, მათი დაბრუნება მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე შეუძლებელია (ამ ადგილების ოკუპაციის გამო) და ამავდროულად, ოჯახის არც ერთი წევრი არ ეწევა საბიუჯეტო ორგანიზაციაში ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობისა.

**საარსებო შემწეობის ოდენობა** განისაზღვრება ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით.

საარსებო შემწეობის ოდენობა ერთსულიანი ოჯახისათვის არის 30 (ოცდაათი) ლარი.

ორ- და მეტსულიანი ოჯახების შემთხვევაში ერთსულიანი ოჯახისათვის დადგენილი საარსებო შემწეობის ოდენობას მეორე და ოჯახის ყოველ მომდევნო თითოეულ წევრზე ემატება 24 ლარი.



საარსებო შემწეობის ოდენობის გაანგარიშებისას ოჯახის წევრთა რაოდენობაში არ გაითვალისწინება ოჯახის წევრები, რომელიც მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მიუხედავად საარსებო შემწეობის დანიშვნის მომენტისათვის არის:

ა) სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული, რომელსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შესაბამისად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა;

ბ) იძულებით სამკურნალოდ გაგზავნილი პირი;

გ) ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფი პირი;

დ) ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამ თვეზე მეტი ვადით წასული პირი;

ე) ინსტიტუციონალურ დაწესებულებაში სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფი პირი.

ოჯახში, წევრის დაბადების ან გარდაცვალების შესახებ ოფიციალურად დადასტურებული ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, საარსებო შემწეობა გადაანგარიშდება ავტომატურად (სოციალურ-ეკონომიკური შეფასების გარეშე), ოჯახში არსებულ წევრთა რაოდენობის შესაბამისად

იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული ოჯახის შემადგენლობაში მოხვდება მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული საარსებო შემწეობის მიმღები პირი, გაერთიანებული ოჯახის საარსებო შემწეობა უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ ყოველი არამიმღები წევრისათვის დაემატოს 24 ლარი.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთან შეთანხმებით უზრუნველყოფს ოჯახების სიის სააგენტოსათვის მიწოდებას. პირველადი ვარიანტი მიწოდებულ იქნა არა უგვიანეს 2009 წლის 10 იანვრისა, ხოლო შემდეგ თვეებში განახლებული სიების მიწოდება ხდება - არა უგვიანეს ყოველი თვის 25 რიცხვისა.

საარსებო შემწეობა გაიცემა წარმოდგენილი სიის მდგომარეობით დანიშნული ოდენობით, 2009 წლის იანვრიდან 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2009 წლის 10 იანვრიდან, დამატებით შერჩეულ ოჯახებს საარსებო შემწეობა დაენიშნოთ დამატებითი სიის სააგენტოში წარდგენის მომდევნო თვიდან და გაიცემა 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

დევნილი ოჯჯახების (შესაბამისი უფლებამოსილი პირის) მიერ საარსებო შემწეობის დანიშვნის თაობაზე წერილობითი თანხმობის (სადაც აგრეთვე აღინიშნება ოჯახის რომელიმე წევრი ეწევა თუ არა საბიუჯეტო ორგანიზაციაში ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობისა) მოპოვება და სააგენტოსათვის მიწოდება უნდა უზრუნველყოს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ.

ზედმეტად დარიცხული საარსებო შემწეობის/საოჯახო დახმარების დაქვითვა (უკან დაბრუნება) შესაძლებელია სააგენტოს გადაწყვეტილებით ოჯახისათვის დანიშნული საარსებო შემწეობიდან/საოჯახო დახმარებიდან

**სოციალური დახმარების მიღების შეზღუდვა:**

1. საარსებო შემწეობის მიღება გამორიცხავს საოჯახო დახმარების მიღებას.

2. ოჯახს, რომელსაც 2007 წლის 1 იანვრამდე დანიშნული აქვს საოჯახო დახმარება, უფლება აქვს აირჩიოს რომელიმე ზემოაღნიშნული სოციალური დახმარებიდან ერთ-ერთი, გახდეს საარსებო შემწეობის მიმღები ან დაიტოვოს საოჯახო დახმარება.

3. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი აირჩევს საარსებო შემწეობის



მიღებას,რის საფუძველზეც შეუწყდა საოჯახო დახმარების მიღება, 2007 წლის 1 იანვრიდან საოჯახო დახმარების ხელახალი დანიშვნა არ განხორციელდება.

4. ღატაკ ოჯახს, რომელსაც საარსებო შემწეობის მიღების უფლება წარმოეშვა ამ წესის შესაბამისად, მაგრამ შემწეობის დანიშვნა და გაცემა არ განხორციელდა, საარსებო შემწეობა გაიცემა უფლების წარმოშობის პერიოდიდან, მაგრამ არა უმეტეს 1 წლისა.

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საოჯახო დახმარება ყოველთვიურად მიეცემათ უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახთა (მათ შორის, დევნილთა ოჯახების) კატეგორიებს შემდეგი ოდენობით:

ა) მარტოხელა არამომუშავე პენსიონერთა ერთსულიან ოჯახზე – 22 ლარი, არამომუშავე პენსიონერთა ორ და მეტსულიან ოჯახზე – 35 ლარი;

ბ) დედ-მამით ობოლ 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე, მეურვის შრომისუნარიანობის მიუხედავად, ერთ ბავშვზე – 22 ლარი;

გ) არამომუშავე, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლოებზე, ერთ პირზე – 22 ლარი;

დ) 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე, ერთ ბავშვზე – 22 ლარი;

ე) მრავალშვილიან ოჯახზე, რომელსაც ჰყავს 7 ან 7-ზე მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი – 35 ლარი.

საოჯახო დახმარების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა უზრუნველყოფა

• სააგენტო უზრუნველყოფს 2006 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ იმ ვალდებულებათა დაფარვას (გაცემას), რომლებიც დაკავშირებულია უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის სოციალური დახმარების გაცემასთან.

• სააგენტო აგრეთვე უზრუნველყოფს სოციალური დახმარების დაქვითვას იმ ოჯახებისათვის, რომელთაც საარსებო შემწეობასთან ერთად მიღებული აქვთ საოჯახო დახმარება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**საარსებო შემწეობის გაცემა**

• საარსებო შემწეობა გაიცემა საბანკო დაწესებულების მეშვეობით.

• საარსებო შემწეობის გაცემა წარმოებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად სააგენტოსა და მომსახურე კომერციულ ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით.

• საარსებო შემწეობა მიეცემა ღატაკი ოჯახის ნებისმიერ სრულწლოვან ქმედუნარიან წევრს.

**ზედმეტად მიღებული საოჯახო დახმარების ლეგალიზაცია**

2009 წლის 1 ივლისამდე პირის (ოჯახის) მიერ არასწორად მიღებული საოჯახო დახმარების თანხები ითვლება კანონიერად. ამავდროულად, სააგენტოს მიერ პირისათვის (ოჯახისათვის) 2009 წლის 1 ივლისამდე დაკავებული თანხები არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას.

ზემოთ აღნიშნული პუნქტი არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც პირს (ოჯახს) საოჯახო დახმარებასთან ერთად მიღებული აქვს საარსებო შემწეობა.